ხაშურის მოამბე

№26 (448) 15 ივლისი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა პროექტი „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მხარი დაუჭირა მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი"–სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, რაც გულისხმობს ორი ერთეული სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალების მიღებას. საკითხი მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა სერგო ლალიაშვილმა წარმოადგინა, ხოლო ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" დირექტორმა ზურაბ ნოზაძემ საკრებულოს წევრთა შეკითხვებს უპასუხა და ისაუბრა, თუ როგორ გაუმჯობესებს ახალი ტექნიკა კონკრეტულ ადგილებზე დასუფთავებისა და გარე განათების საკითხებს.

საკრებულომ მხარი დაუჭირა პროექტს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ.

მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

დღევანდელ სხდომაზე მოწვეულები იყვნენ შიდა ქართლის სატყეო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი მიხეილ მათიაშვილი და უფროსი მეტყევე ვლადიმერ სილაგაძე, რომლებთან ერთად განიხილეს ნარგავების დარგვის და გამწვანების ღონისძიებების ერთობლივი გეგმები. სტუმრებმა უპასუხეს საკრებულოს წევრთა შეკითხვებს და გამოხატეს მზადყოფნა თანამშრომლობისათვის.

ხაშურში აქტიურად გრძელდება „წყალმომარაგებისა და წყალარინების" სისტემების რეაბილიტაცია

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ამჯერადაც, ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S" წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა, გარკვეული დეტალების განხილვას ემსახურებოდა, აღინიშნა, რომ აგარისა და ყაზბეგის ქუჩებზე დროულად უნდა განხორციელდეს „წყალმომარაგებისა და წყალარინების" სისტემების რეაბილიტაცია, დაიგოს ასფალტის საფარი, რათა, მთავარ გზებზე პროექტის განხორციელებისას, მათ ალტერნატიული გზების ფუნქცია შეასრულონ. დასახელდა სხვა პრიორიტეტული ქუჩებიც, სადაც, ასევე, უახლოეს პერიოდში დაიწყება პროექტი.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების" პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია დააპროექტებს ქუჩებს და იქ სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად, მოაწესრიგებს საგზაო ინფრასტრუქტურასაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეხვედრები, ასევე, პერიოდულად, იმართება სხვადასხვა ქუჩის მცხოვრებლებთანაც, ხდება მათი მოსაზრებების გათვალისწინება და პროექტის კორექტირება.

მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში, მერის ახალი წარმომადგენელი დავით დევაძე წარადგინა

მერმა მადლობა გადაუხადა ირაკლი ჩადუნელს, რომელიც სურამში მერის წარმომადგენლად მუშაობის შეწყვეტის შემდეგ საქმიანობას მერიის სხვა სამსახურში გააგრძელებს.

დავით დევაძე სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში უფლებამოსილების განხორციელებას უკვე შეუდგა. მან მერის მოადგილე ზვიად გოგუაძესთან ერთად რამდენიმე დაწესებულება მოინახულა.

- პუბლიცისტი -

სწრაფი დინების და პროგრესის დრო მოვიდა

სერგეი მესხის პუბლიცისტურ წერილში „ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა“ განხილულია მეტად საჭირო და მუდამ აქტუალური თემა, განათლება. ავტორი საუბრობს თაობათა შორის განსხვავებულობაზე, კერძოდ მათ მიერ არჩეულ განსხვავებულ გზებზე. სერგეი მესხი ძველ თაობას კატეგორიულად არ აკრიტიკებს, ის ხაზს უსვამს, მათ მიერ არჩეულ გზას, რომელიც უმაღლესი განათლების რუსეთში მიღებას გულისხმობს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ განათლებამიღებული ახალგაზრდები, ძირითადად, ან ჩინოვნიკებად ან, უბრალოდ, „დროის გამყვან“ ახალგაზრდებად ყალიბდებოდნენ. ამ ყველაფერზე საუბრობს, რათა შემდგომ კონტრასტულად დაგვანახოს ახალი თაობის მიერ არჩეული ახალი გზა, რომლიც საპირისპირო მხარესაა მოქცეული. „ჭეშმარიტება სწორი გზით არასოდეს არ მოინახებაო“-სერგეი მესხის მიერ გამოყენებული ეს სიტყვები ზუსტად იმის დასტურია, რომ არაა აუცილებელი თაობები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მთავარია მათ ერთმანეთით ისწავლონ. ახალმა თაობამ არ უნდა აქციოს ზურგი ძველ თაობას, არამედ ყურადღებით გაიცნოს ის და ისწავლოს მათ შეცდომებზე. „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“-ამას ადასტურებს ილია ჭავჭავაძის ეს დიდებული სიტყვებიც.

ამ პუბლიცისტური წერილის მთავარი სათქმელი სწორედ ისაა, რომ პროგრესია უმთავრესი. თაობათა ცვლა გარდაუვალია, შესაბამისად, თავს ვერ ავარიდებთ განსხვავებულობას, განვითარებას. მაშინდელმა ახალმა თაობამ კი განვითარების ახალი გზა ანუ დასავლური ევროპა აღმოაჩინა. პროგრესი განათლების გარეშე არ არსებობს, ევროპა კი სწორედ რომ განათლებას და ცოდნას სთავაზობდა ქართველ ერს, რაზეც უარის თქმის ფუფუნება ქართველ ერს არ ჰქონდა და არ აქვს.

„ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთი ევროპა არის.“-წერს სერგეი მესხი. საქმე კი ისაა, რომ ეს ფაქტი დღესაც არ შეცვლილა. ამიტომაა, რომ სერგეი მესხის ეს წერილი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. დღევანდელ ახალ თაობასაც განათლების წყაროდ, მაგალითად და პროგრესის გზად ევროპა აურჩევია. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი ჩვენი თანატოლი, სტუდენტი, რომელსაც სამშობლო იმისთვის დაუტოვებია, რომ კიდევ უფრო დიდ ცოდნას დაეწფოს ევროპაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია განათლება და ცოდნა შესძინოს საკუთარ შვილს. არა. ეს იმის დასტურია, რომ ახალგაზრდებს სურთ, საქართველოში მიღებულ ცოდნას, საძირკველს, ევროპაში მიღებული ცოდნა დააშენონ.

ალბათ ათასში ერთი ახალგაზრდა თუ გამოიძებნება, რომელიც შეეწინააღმდეგება და განსხვავებულ აზრს გამოხატავს ამ საკითხთან დაკავშირებით. მე არ შემიძლია, არ დავეთანხმო სერგეი მესხის ამ პუბლიცისტურ წერილს. წარმოუდგენელია, ახალგაზრდას არ სურდეს უკეთესი მომავალი, გაუმჯობესება. და თუ გზა, რომელიც ევროპისკენ მიდის არის შესაძლებლობა პროგრესისა, ისღა დაგვრჩენია დავადგეთ ამ გზას. რა თქმა უნდა, სრულყოფილი არც ეს გზა იქნება, ჩვენც ბევრ შეცდომას დავუშვებთ, მაგრამ სერგეი მესხიც სწორედ ამას წერს, რომ უშეცდომოდ ვერ ვისწავლით. ევროპა „წყაროს წყალია“ ჩვენთვის, რომელსაც გვერდით ისე არ უნდა ჩავუაროთ, რომ მისი ცივი, გამომაფხიზლებელი წყალი არ დავლიოთ, დოქიც არ ავავსოთ ამ წყლით და სახლში წავიღოთ. ევროპა გვაძლევს ამ ცოდნა, ჩვენ უნდა მივიღოთ განათლება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს შანსი და შემდეგ სავსენი დავუბრუნდეთ ჩვენს სახლს, ჩვენს სამშობლოს და მის სასიკეთოთ გამოვიყენოთ ეს მადლი. მთავარი ეს გახლავთ.

პრობლემა ისაა, რომ არაა მარტივი ძველი გზის დავიწყება. ახალი გზის არჩევით თითქოს არ ვაფასებთ ძველს, უფროსი თაობის მიერ გაწეულ შრომას. მაგრამ ეს ასე არაა, ჩვენ რომ უფროსი თაობის განვლილ გზას არ ვაფასებდეთ, მაშინ ზედაც არ შევხედავდით მათ ისტორიას, ვერც მათ კარგს დავინახავდით და უფრო მეტად, ვერც მათ ცუდს. ეს სადამდე მიგვიყვანდა? განადგურებამდე! რომ ვაფასებთ წინაპრებს, ეს სწორედ მაშინ ჩანს, როდესაც მათ მიერ დაშვებულ შეცდომებსაც ვხედავთ იმ ყოველივე მადლთან ერთად, რაც მათ ჩვენამდე მოიტანეს.

ჩვენმა ბებია-ბაბუებმა თუ მშობლებმა შესაძლოა განათლება მიიღეს რუსეთში, მაგრამ თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ცოდნა აღარაა საკმარისი იმისთვის, რომ ფეხი ავუწყოთ განვითარებულ მსოფლიოს, ეს დასაძრახი არაა. დასაძრახი ის იქნებოდა თუ მდორედ, მიძინებულები გავაგრძელებდით სტაბილურ, შეჩვეულ ყოფას. ახლა სტაბილურობის დრო აღარაა, ახლა დრო მოვიდა სწრაფი დინებისა, პროგრესისა. ჩვენმა ახალმა თაობამ არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი და არ უნდა შეჩერდეს. პირიქით, ის რესურსები, რასაც ჩვენ დღევანდელი განვითარებული სამყარო გვთავაზობს, უკანასკნელ წვეთამდე უნდა გამოვიყენოთ და შევქმნათ ახალი რესურსები, ისევ ჩვენი ქვეყნის სასახელოდ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამას სწორედ ევროპა გვთავაზობს. ამის კიდევ ერთი მაგალითია ის, რომ ევროპაში ძალიან ბევრი ქართველი ახალგაზრდა აღწევს დიდ წარმატებას. ეძლევათ მათ საშუალება

განვითარდნენ მრავალმხრივ.

ამიტომ, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ სერგეი მესხის ეს პუბლიცისტური წერილი არ კარგავს აქტუალობას და კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური, ჩვენს შემდეგ ახალ თაობებშიც კი.

ნია ნიჟარაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსისი სტუდენტი

სურამს, სულ ჩქარა, განახლებული სტადიონი ექნება

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რაც დაზიანებული ტრიბუნების დემონტაჟს, დამცავი კედლის მშენებლობას, სადრენაჟე სისტემის მოწყობასა და გასახდელების რეაბილიტაციის სამუშაოებს ითვალისწინებს.

სტადიონი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა და აღიჭურვება.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერისპირველიმოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

პროექტი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯ-ეტიდან. მისი საერთო ღირებულება 1 041 230 ლარია.

სოფელ ცხრამუხაში (ხმალაძეების უბანში), აქტიურად მიმდინარეობს შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

საგზაო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაც ჯამში 598 969 ლარს შეადგენს.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25)

ალ. ხორავას ოჯახი წლების მანძილზე ითვლებოდა პოლიტიკურად არასაიმედო ოჯახად, რომლის წევრებიც განიცდიდნენ გარკვეულ შევიწროებას, ჩამორთმეული ჰქონდათ საარჩევნო ხმის უფლება და სხვა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გავეცნოთ ალ. ხორავას მეუღლის ოლღა სილიბისტროს ასულ უჩანეიშვილის განცხადებას, რომლითაც მას მიუმართავს სურამის სათემო საარჩევნო კომისისთვის. აი ეს განცხადებაც, რომელიც 1929 წლის 23 იანვრით არის დათარიღებული:

სურამის სათემო საარჩევნო კომისიას
სურამში მცხოვრებ ქვრივ ოლღა
სილიბისტროს ასულ ხორავას
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საარჩევნო კომისიის მიერ მე წამერთვა საარჩევნო უფლებები იმ გარემოებით რომ ვითომ ჩვენ ვიყავით ვაჭარი, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. განსვენებული ჩემი ქმარი ალექსანდრე ხორავა ვაჭრობდა სიკვდილამდე ე.ი. 1924 წლამდე. დასახელებულ დროის შემდეგ ჩვენი ოჯახი არ ცხოვრობს ვაჭრობის შემოსავლით, არამედ დარჩენილი მცირეწლოვანი შვილები მე აღვზარდე დიდი გაჭირვებით, ნაწილობრივ ვკმაყოფილდებოდით სეზონობით აღებული სახლის ქირის შემოსავლისაგან, რაც ნახევრად ვერ აკმაყოფილებდა ჩვენ ოჯახს და მიხდებოდა სახლიდან საოჯახო ნივთების გაყიდვა. ამჟამათაც, ჩვენ ოჯახს ნაწილობრივ აკმაყოფილებს სახლის ქირის შემოსავალი ზაფხულობით, ხოლო ზამთრობით თავს ვირჩენთ რძის შემოსავლით, გვყავს ერთი ძროხა, რომლის რძეს ჩვენთვის ვკლებულობთ და მეზობლებთან ვყიდით. ამასთანავე მე ვასწავლი ჩემს შვილს კატუშას 13 წლისა და თამარს 15 წლისას სკოლაში. ჩვენი ოჯახი ოთხი სულისგან შედგება, შვილები თამარი 15 წლის, მეორე კატუშა 13 წლის, მესამე თინა 5 წლის, მეოთხე მე, უნდა აღინიშნოს ჩვენ ოჯახში არავინ გვყავს მზრუნველი ან შემომტანი, არამედ ყოველდღიური ჭაპან-წყვეტით და შრომით გამოგვაქვს თავი. დასახელებულ გარემოების გამო გთხოვთ აღგვიდგინოთ მოქალაქეობრივი საარჩევნო უფლებები, როგორც მშრომელ ელემენტს და არა ვაჭარს. განმცხადებელი ოლღა ხორავა.

სურამის თემის საარჩევნო კომისიამ იმავე წლის 30 იანვარს განიხილა ოლღა უჩანეიშვილის განცხადება. მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ოლღა ხორავას ,,საარჩევნო უფლება ჩამოერთვა 1927 წლიდან, როგორც ვაჭარს“. იგი აცხადებს, რომ მას არ უვაჭრია. ვაჭრობას მისი ქმარი ეწეოდა 1924 წლამდე, რომელიც 1924 წელში მენშევიკების ავანტურის დროს დახვრეტილ იქნა.

კომისიამ დადგინა: ,,მოქ. ხორავას უარი ეთქვას უფლებებში აღდგენაზე, რადგანაც, თუმც იგი ეხლა არ ვაჭრობს, მაგრამ მაინც ცხოვრობს ქონების შემოსავლით, როგორიც არის სახლის ქირა, რაც მის არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს’’.

ოლღა უჩანეიშვილი - ხორავასი 88 წლის ასაკში, 1976 წელს გარდაიცვალა.

199 წელს ალექსანდრე ხორავას შთამომავლობამ - შვილებმა და შვილიშვილებმა მიიღეს მამისა და პაპის რეაბილიტაციის გადაწყვეტილება.

ეს უკან მიდევნებულ ლამპარს ჰგავდა. თითქოს აზრი დაკარგვოდა რეაბილიტაციას, დიდი დრო გასულიყო, ისინი, ვის თვალშიც ალექსანდრე ხორავას რეაბილიტაციაც უნდა მომხდარიყო, ყველა გზა მართალს წასულიყო, აღარც ის ჯალათები იყვნენ, რომლებმაც ტყვია ესროლეს... ოჯახის წევრების თვალში ჯერ კიდევ მაშინ იყო რეაბილიტირებული ალექსანდრე ხორავა, როცა სახლიდან გაიყვანეს და გოლგოთის გზას გაუყენეს.

რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნა ირაკლი მურვანიშვული, - ცნობილი ქართველი მეტყევისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ მურვანიშვილის შვილი. ბატონ მიხეილს ჩვენს საზოგადოებაში წარდგენა არ ჭირდება. მან უდიდეს საშვილიშვილო საქმეს დაუდო სათავე საქართველოუნახავსში, რისთვისაც თუნდაც მარტო სურამის მაგალითი იკმარებდა. ვისაც ახსოვს 20-იანი წლების სურამი ან ფოტოსურათი მაინც უნახავს (ხაშურის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული გვაქვს რამდენიმე ასეთი სურათი) დაგვეთანხმება, რომ საოცრად დიდი სხვაობაა ძველსა და დღევანდელ სურამს შორის. ძველი სურამი გაშიშვლებულ მთებს შორის არის მოქცეული, ღევანდელი კი სიმწვანეშია ჩაფლული. ეს კი ბატონ მიხეილის უდიდესი დამსახურებაა. მას მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა, ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟი. მიხეილის ერთ-ერთი ვაჟი ქაიხოსრო 1918 წელს შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ოჯახის იმედად ირაკლი რჩებოდა, მაგრამ აქაც უტყუნა ბედმა მიხეილ მურვანიშვილს. ირაკლი 1924 წლის სისხლიანმა აგვისტომ შეიწირა. თუმცა მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია აჯანყებაში.

თინა ქებაძე-ინასარიძისა: ,,მიხეილ მურვანიშვილი დედაჩემის ძმა იყო. ჩემმა ბიძაშვილმა ირაკლიმ გადაწყვიტა იტალიაში წასვლა ხატვის შესასწავლად. მას საკმაოდ კარგად ეხერხებოდა ხატვა. მშობლებიც მოწადინებული იყვნენ. ამიტომ იყო, რომ ბიძაჩემმა ამ დროს მიხეილი სურამში ცხოვრობდა.

ირაკლი თბილისიდან სურამში ჩამოვიდა დედმამასთან. მოვიდა ჩვენთანაც გამოსამშვიდობებლად. ძალიან უყვარდა მამიდა.

დაბინდებისას წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან მობრუნდა, რაღაც გული არ მიწევს, რომ წავიდეო. კიდევ დაგვემშვიდობა და სახლისკენ გაეშურა.

საბჭოს წინ რომ გაუვლია, მაშინ დაუჭერიათ. ჩვენ იმ დღესვე გავიგეთ ეს ამბავი. დედაჩემს დავუმალეთ, ძალუაჩემთან და ბიძაჩემთან წავედით, რომ გაგვეგებინებინა ირაკლის დაჭერის ამბავი. ბიძაჩემი - მიხეილი ამ დროს ბორჯომში მუშაობდა და იქ იმყოფებოდა.

იმ ღამეს საბჭოში ჰყოლიათ ირაკლი. მეორე დღეს მივედით და გვაჩვენეს. ძალუაჩემმა ბიძაჩემთან ნინო (მიხეილ მურვანიშვილის ქალიშვილი) გაგზავნა. ბორჯომში ამ დროს კრავცოვი იყო, გავლენიანი პიროვნება და ბიძაჩემმა მას თხოვა დახმარება. მან წერილი გამოატანა ნინოს...

დედაჩემი და ძალუაჩემი ხაშურში , სადგურზე დახვდნენ...
მაგრამ ირაკლი თურმე უკვე დახვრეტილი იყო.
ზემო სერზე დახვრიტეს...
ბორჯომში წავიდნენ და ბიძაჩემს გააგებინეს ეს ამბავი. მაშინ თურმე მიხეილს თავის მოკვლა გადაუწყვეტია...“

გაზეთი ,,მუშა“ ირაკლი მურვანიშვილს თავადობას აბრალებს და გამოუსწორებელ კონტრ-რევოლუციიონერად რაცხს. ასე ინათლებოდა ყველა უდანაშაულო ხელისუფლების მხრიდან, სისხლის ღვრას გამართლება ხომ სჭირდებოდა.

6 სექტემბერს, მიტინგი გაიმართა სოფელ ქვიშხეთში. მიტინგს ქვიშხეთის სასოფლო საბჭოში სოფლების უპარტიო გლეხები დაესწრნენ, სულ 200 კაცი. მიტინგზე მოხსენებით გამოვიდა ლენტო გოგოლაძე. მიტინგმა აგრეთვე ,,...მოისმინა მთელი რიგი ამხანაგების მოხსენებები მენშევიკების ყაჩაღური გამოსვლების შესახებ და მიიღო ასეთი დადგენილება:

მოღალატე მენშევიკები ჩაუდგნენ სათავეში თავად-აზნაურობის და ოფიცრების გამოსვლას ხალხის წინააღმდეგ.

ამ ვაჟბატონებმა თავიანთი უმზგავსი გამოსვლებით დაარღვიეს მშვიდობიანი წესიერი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლებისა, იმსხვერპლეს გლეხები, გაანადგურეს მათი დოვლათი.

დაჟინებით მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან რათა ამ ავანტურის ხელის შემწყობების წინააღმდეგ იქნეს მიღებული სასტიკი ზომები, დამნაშავენი იქნენ დასჯილი უმაღლესი სასჯელით.

ჩვენ გლეხობა ფიცსა ვდებთ, რომ ყოველთვის ფხიზლად ვიდგომებით საბჭოთა წყობილების სადარაჯოზე, და პირველ გამოძახილისთანავე ამოუდგებით გვერდით ხელისუფლებას.

ძირს საბჭოთა ხელისუფლების მტრები!
გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას და კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!“.

თითქმის ყველა რეზოლუციაში მითითებულია, რომ მასში ჩამოყალიბებული მოთხოვნები მიღებულია უპარტიო გლეხთა მიტინგზე. ალბათ ესეც წინასწარ გამიზნული თუ იყო. ა, ბატონო, უპარტიო გლეხები და მუშები მოითხოვენ ,,ავანტურის“ მონაწილეთა დასჯას, თორემ ჩვენ პარტიულ ამხანაგებს ვაგზავნით ყველგან, ,,რათა დაამშვიდონ აღელვებული გლეხები და არ დაუშვან მაზრაში ექსცესები“. ხელისუფლებაც დიდი მონდომებით ეკიდებოდა უპარტიო გლეხებს და ასრულებდა მათ მოთხოვნებს. თორემ იმ დროს, ყოველ შემთხვევაში, სექტემბრისათვის გაზეთ ,,კომუნისტის“ მონაცემებით ხაშურის პარტიულ ორგანიზაციაში 600 კაცი ირიცხებოდა. აქედან წევრი იყო 545, დანარჩენი კი წევრობის კანდიდატი.

600 ბოლშევიკის მოთხოვნით ხელისუფლებას ალბათ გაუჭირდებოდა სისხლიანი რეპრესიების განხორციელება და ამიტომ რაც შეიძლება უპარტიო გლეხებს და მუშებს უნდა ეაქტიურათ, რომ ხელისუფლებას ფართო მასების ,,მოთხოვნა“ ადვილად შეესრულებია.

ნეტა თუ ახლაც ასე ფიქრობენ ქვიშხეთელები, როცა დღეს ქართველი ერი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის იმ მიზნის ასასრულებლად, რაც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებულებს სურდათ, რომ ყოველთვის ფხიზლად იდგებიან საბჭოთა წყობილების სადარაჯოზე და პირველი დაძახებისთანავე ამოუდგებიან გვერდით ხელისუფლებას.

მეორე დღეს, 7 სექტემბერს მიტინგი გაიმართა სოფელ ალში. მიტინგს დაესრნენ ალის თემის ყველა სოფლის გლეხობა. აქაც ,,მოხსენებები“ გააკეთეს სხვადასხვა ამხანაგებმა მენშევიკების ავანტურული გამოსვლის შესახებ, რის შემდეგ გამოტანილ იქნა ,,შესაბამისი“ რეზოლუცია: ,,მოვისმინეთ რა მოხსენება მთელი რიგი ამხანაგებისა მღვდლების, თავად-აზნაურების, ნაციონალისტების და ყველა ჯურის კონტრევოლუციონერების ბანდიტური გამოსვლის შესახებ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, ჩვენ ალის თემის გლეხობა, მოვითხოვთ, რათა მათ წინააღმდეგ იქნეს მიღებული უსასტიკესი ზომები. ჩვენ მზად ვართ იარაღით ხელში დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა და დაჟინებით მოვითხოვთ ყველა კონტრევოლუციონერების ადგილობრივ გასამართლებას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა მთავრობას!
გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!“.

ალელებიც, ისევე როგორც სხვები, მხოლოდ და მხოლოდ მზად არიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან ,,მუშურ-გლეხური მთავრობა“, სამშობლო - საქართველო სისხლისგან რომ იცლებოდა არავის ახსოვს, რომ უპირველეს ყოვლისა მას სჭირდება დაცვა, მთავრობები მიდიან და მოდიან , სამშობლო კი ყოველთვის მარადიულია. ვერც გაამტყუნებ ალელებს, იმ გაუთავებელი მიტინგების ორგანიზატორებს ხომ სამშობლო არ გააჩნდათ და ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მასზე.

იმავე დღეს ხაშურში იმართება უკვე რიგით მესამე მიტინგი, წინ კიდევ რამდენიმე მიტინგის გამართვაა ჩაფიქრებული. კვლავ გაზეთ ,,მუშის“ ფურცლებზე ქვეყნდება მიტინჯზე მიღებული რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: ,,ხაშურში, 7 სექტემბერს შემდგარმა მუშებისა და გლეხების მიტინგმა მოისმინა რა მოხსენებები, ამხანაგების ღენტორ რუხაძის და ვალერიან ვაშაკიძის მიმდინარე მომენტზე და მენშევიკების ვერაგული გამოსვლების შესახებ, დაადგინა:

1. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მომხდარ გამომსვლებს თავად-აზნაურობის, ოფიცრების და მღვდლების მონაწილეობით და მენშევიკების მეთაურობით, მიზნათ ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ამდენი სისხლით მოპოვებული თავისუფლების განადგურება.

ამიტომ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ მთავრობისაგან დასჯილ იქნან სასტიკათ, ე. ი. დახვრეტით, ის ვინც გაბედა ან ხელი შეუწყო ამ გამოსვლებს.

2. მოვითხოვთ განდევნილი იქნენ ჩვენი სოფლებიდან ყველა აზნაურობა, სამღვდელოება, მენშევიკები და ის ვიგინდარები, რომლებიც ხელს გვიშლიან ჩვენ მშვიდობიან ცხოვრებაში და ცდილობენ ძველი ბატონყმობის აღდგენას.

არავითარი შეღავათი მათ, არავითარი დათმობა, არც შერიგება. ცეცხლი, ტყვია მათ, ვინც დღეს უწევსსაბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგობას და ვინც დღეს ტყეში გარბის.

მუშათა კლასმა და ფართო გლეხობამ უკანასკნელ დღეებში ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა თავისი შეუდრეკელი და მტკიცე ნებისყოფა, რომლის სალისებურ სიმაგრეს შეეჯახა და თავი შეამსხვრია გაშიშვლებულმა კონტრრევოლუციამ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც აღგვის დედამიწის ზურგიდან ყველა მენშევიკებს, ბანდიტებს, მღვდლებს და თავადაზნაურობას, აგრეთვე მათ ამყოლთ, რითაც საშუალება მოგვეცემა გავამაგროთ ჩვენი, მშრომელთა ბატონობა ჩვენ მიწა-წყალში.

ძირს ნაძირალები, ძირს ყაჩაღი მენშევიკები!
ძირს თავადაზნაურობა და მღვდლები!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“.

როგორც ვხედავთ, არც 7 სექტემბრის მიტინგზე მიღებული რეზოლუციის ტექსტი განსხვავდება ხაშურში გამართულ წინა ორ მიტინგზე მიღებული რეზოლუციების ტექსტებისაგან. აქაც ერთი ძირითადი მოთხოვნაა - დახვრიტეთ!

,,არავითარი შეღავათი მათ, არავითარი დათმობა, არც შერიგება, ცეცხლი, ტყვია მათ...“ ხაშურლებიც ნაკლებად წუხან ამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლიანი ანგარიშსწორებით და როგორც ჩანს, არც ანაღვლებთ ეს. ისინი მხოლოდ იმას სწუხან, რომ აჯანყებულებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ჰქონიათ გადაწყვეტილი და ,,ამდენი სისხლით მოპოვებული თავისუფლების განადგურება“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ნაცარგორის ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ევროპელი მეცნიერების ყურადღების ცენტრშია

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სამი კვირის განმავლობაში, სამუშაოდ მოვლინებული იყო იტალიის ქალაქ ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის არქეოლოგიური პროექტის მონაწილე, პარიზის ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმის დოქტორანტი (სპეციალობა-ზოოარქეოლოგია), ადელინა ვოუტრინი. ვიზიტი მიზნად ისახავდა, 2011-2012 წლებში, „ქართულ-იტალიური არქეოლოგიური პროექტის“ მიერ განხორციელებული ექსპედიციის (ხელმძღვანელი: ვენეციის კა-

ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორი, არქეოლოგი ელენა როვა) მიერ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაცარგორის მრავალფენიან ნამოსახლარ გორაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალიდან არქეოზოოლოგიური ნიმუშების შესწავლას საბოლოო პუბლიკაციისთვის. ადელინა ვოუტრინმა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში იმუშავა, აღნიშნული ძეგლის აქ დაცულ სარეზერვო კოლექციაზე, შეისწავლა წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლები და აიღო ნიმუშები დნმ-სა და იზოტოპის ანალიზებისთვის. ადელინა ვოუტრინს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდის საცავში ღირსეულ თანამშრომლობას უწევდნენ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი მზია ლობჟანიძე, არქეოლოგიური ფონდის მცველი ჯონდო ქიტიაშვილი, რესტავრატორი თამარ გაჩეჩილაძე და ეთნოგრაფიის კოლექციის მცველი ვერა გაჩეჩილაძე. ადელინა ვოუტრინთან დაკავშირება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველის მზია ლობჟანიძის დახმარებით

განხორციელდა და ინტერვიუსაც მასპინძლობა და თარჯიმნობა მან გაუწია, უღრმესი მადლობა ქალბატონ მზიას გულითადი მასპინძლობისთვის. ადელინა საფრანგეთიდანაა, ქალაქ დღვადან, იმ პროვინციიდან, სადაც ღვინის კულტურა ფართოდაა გავრცელებული და ჩვენს ქალაქში მისი ყურადღება, განსაკუთრებით, მშვენიერმა ვენახებმა და ვაზის ლამაზმა ხეივნებმა მიიქცია.

- მევარადელინავოუტრინი, ფრანგი არქეოზოოლოგი, ვმუშაობ უშუალოდ ძვლებზე. ვარ პარიზის ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმის დოქტორანტი, პარალელურად კი ვთანამშრომლობ იტალიის ქალაქ ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის პროექტთან. დაინტერესებული ვარ პრაქტიკა გავიარო სხვადასხვა ქვეყნებში და შევისწავლო ცხოველების სახეობები და მათი გავრცელების არეალები კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. ვსპეციალიზდები ცხოველების ძვლებზე, რადგან არქეოზოოლოგიაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაინტერესებს, უძველესმა ადამიანებმა როგორ შეძლეს გარეული ცხოველები მოეშინაურებინათ და ზოგიერთი მათგანი საკვებად ექციათ. უმეტეს შემთხვევაში, ეს კვალი ნამოსახლარ გორებზე უფრო მეტადაა. ვიკვლევ რამდენად იყო გავრცელებული ადამიანებში ცხოველებთან თანაცხოვრება, რა ცხოველები იყო უშუალოდ გავრცელებული სხვადასხვა ლოკაციებზე და რომელ რეგიონში.

ადელინა ვოუტრინი სხვადასხვა დროს მუშაობდა, კავკასიის რეგიონიდან ნახჭევანში (2019წ.), საქართველოში-სამცხე-ჯავახეთში (ქართულ-ავსტრალიურ ჯგუფთან ერთად), კახეთში, შიდა ქართლში, მცხეთაში (ქართულ-გერმანულ ჯგუფთან ერთად), დუშეთში და შემდეგ ბოლნისში. სამეცნიერო კონფერენციაზე თელავშიც იმყოფებოდა და კახეთის ბევრ ადგილსაც ესტუმრა. ხევსურეთში, ეთნოლოგებთან ერთად, ეცნობოდა და აკვირდებოდა ადამიანებისა და ცხოველების თანაცხოვრებას, როგორ გადაადგილდებოდნენ, რას აკეთებდნენ და როგორი იყო მათი ურთიერთობა. ადელინა ხაშურში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში ქართულ-იტალიური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ ორგანულ მასალას, არქეოზოოლოგიურ ნიმუშებს, სხვადასხვა სახეობის ძვლებს იკვლევს.

- ჯერ-ჯერობით ვიკვლევ ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ძვლებს. ამ პერიოდებისთვის, აღნიშნულ ძეგლზე, განსაკუთრებით, დამახასიათებელი იყო ღორის გავრცელება. მე ცოტა არ იყოს, გაოცებული ვარ, რადგან მტკვარ-არაქსის საზოგადოებაში, ზოგადად, თითქმის არაა ღორის ძვლები. მტკვარ არაქსის კულტურაში ძირითადად არის მოშინაურებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ასევე ცხვრები და თხები. მაგრამ აქ, ძირითადად, არის ღორის ძვლები. ეს ძალიან განასხვავებს ამ ლოკაციას. რაღაცეები არის გასარკვევი და დასადგენი. ხდება იზოტოპებისა და დნმ-ის ანალიზებისთვის სინჯების აღება და ამ ნიმუშების წაღება, იმისათვის, რომ ჩატარდეს ლაბორატორიული კვლევა ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისთვის. ასევე, უნდა მოხდეს, ამ მასალის შედარება მაგ. გუდაბერტყას ნამოსახლარის მასალასთან და ბედენის კულტურის პერიოდის ორგანულ მასალასთან და ა. შ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ნაცარგორაზე აღმოჩენილი ადრებრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანის ძვლები უნდა შედარდეს სხვა ამავე პერიოდის ძეგლების ძვლებთან, რომ მივიღოთ გარკვეული დადასტურებითი შედეგები, თუ როგორ იყო გავრცელებული მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი და ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით, ღორი. რევოლუციონერი არ ვარ ზოოარქეოლოგიაში, მაგრამ რასაც ვიკვლევ, ამის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს ნიმუშები ზოგიერთი საკითხის ხელახლა გადააზრებისთვის. უნდა დავადასტუროთ, რომ ეს ღორები ადრებრინჯაოს ხანაში(მტკვარ-არაქსის კულტურა), ჩემი აზრით, უკვე მოშინაურებული იყო. რაც შეეხება გვიანი ბრინჯაოს ხანას, ამ ნიმუშების მიხედვით, მთავარ ცხოველებად

(დასასრული V გვერდზე)

ნაცარგორის ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ევროპელი მეცნიერების ყურადღების ცენტრშია

(დასასრული)

იდენტიფიცირებულია ცხვრები/თხები, მსხვბილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი.

როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი მზია ლობჟანიძე საუბარში აღნიშნავს, ადრებრინჯაოს ხანა საინტერესო პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში და მეცნიერ არქეოლოგთა დიდი ნაწილი ყოველთვის ინტერესდება სწორედ ამ მიმართულებით. ასევეა ამ შემთხვევაშიც. ქართულ-იტალიური არქეოლოგიური ექსპედიცია

შედგა ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების კვლევისათვის, რომელმაც 2009-2012 წლებში გარკვეული დრო გაატარა ხაშურის ნაცარგორაზეც, მრავალფენიან ნამოსახლარ გორაზე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებიც, ბატონები: ბიძინა მურვანიძე და ზურა მახარაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობამ აღნიშნულ პროექტს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ქართველ და იტალიელ სტუდენტთა კოლაბორაციის თვალსაზრისით. ადელინა ვოუტრინი:

- წელს იტალიის ქალაქ ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მთავარი ნაწილი მუშაობს გარდაბანში, ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლზე. მე მომიწია მარტო ყოფნა ხაშურში, რადგან ჩემი სამუშაო არის ძალიან სპეციფიური და საჭიროა ნაცარგორის გორა-ნამოსახლარზე აღმოჩენილი ძვლების შესწავლა. მიუხედავად ამისა, მაინც არასოდეს მიგვრძვნია თავი მარტო. მუზეუმის თანამშრომლები, ყველა, ვისთანაც მიწევს კომუნიკაცია, კარგად ვურთიერთობთ. ის, რომ მე სახლში არ ვარ, თითქმის არ მიგრძვნია, მათთან ურთიერთობა სასიამოვნოა, მე ისინი ძალიან მომწონს.

ის, რომ საქართველო ტურისტული და საქმიანი ვიზიტორებისთვისაც მომხიბვლელი და შთამბეჭდავი ქვეყანაა, ახალი არაა. ტრადიციულად, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება და ქვეყნის სავიზიტო ბარათი ქართული კულტურა, სტუმარ-მასპინძლობა და გასტრონომია, კულინარიაა. ადელინასთვის საქრთველოში, ჩვენს პატარა ქალაქში ცხოვრება დამოუკიდებლად, ექსპედიციის ჯგუფისგან შორს ახალი გამოცდილება და ძლიერი შთბეჭდილებაა, რასაც ამჯერად ხაშური და ხაშურელები ქმნიან.

- ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გერმანელებთან ერთად პირველად ჩამოვედი საქართველოში, ეს იყო ჩემთვის ძალიან დიდი შთაბეჭდილება. მას შემდეგ ბევრ კუთხეში ვიყავი, მაგრამ ის, რაც მე ყოველთვის მსიამონვებს და მაოცებს, არის ხალხი, რომელიც ყველგან ძალიან დიდი სიკეთით და გულთბილად გვხვდება და კარგად გვექცევა.

- **ჩვენი ქალაქი როგორია თქვენთვის?**

- ძალიან მომწონს, მშვიდი და წყნარი ადგილია. მომწონს, რომ ყველგან არის ძალიან ლამაზი ბაღები და ის, რომ ყველა ეზოში არის ვაზის ლამაზი ხეივანი და ბევრი სიმწვანე.

- **როდესაც ჩვენი ქალაქიდან გაემგზავრებით, რას ეტყვით თქვენს ოჯახს, მეგობრებს ჩვენს შესახებ, როგორ გააცნობთ მათ ჩვენს ყოფას?**

- მე უკვე ძალიან ბევრი კარგი რამ მოვუყევი თქვენს შესახებ ჩემს ოჯახს, მეგობრებს. მომწონს ქართული სამზარეულო, ძალიან მომეწონა ნიგვზიანი ბადრიჯანი, ვცადე კიდეც მომზადება, მაგრამ არ გამომივიდა ისეთი გემრიელი, როგორც მზიას. მე შევიძინე ქართული სუნელები მუზეუმის თანამშრომლების დახმარებით და მიმაქვს თან. შესანიშნავია ფელამუში, რომელსაც შემდეგ ჩურჩხელას მომზადებისთვისაც იყენებთ.

ინტერვიუ,როგორცდასაწყისშიგითხარით,ხაშურისმხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველის მზია ლობჟანიძის ოჯახში შედგა, სადაც ყოველთვის განსაკუთრებული მასპინძლობა იციან, სადაც სტუმარს მყუდრო, თბილი, ქართული ტრადიციებით გაჯერებული გარემო ეგებება. ადელინა სამი კვირის განმავლობაში ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველის მეზობლად ცხოვრობდა, თავისუფალ დროს კი ფაქტიურად მის სტუმართმოყვარე ოჯახში ატარებდა.

- **ადელინა გექნებათ სურვილი რომ დაბრუნდეთ ჩვენთან?**

- ყოველთვის მინდა საქართველოში დაბრუნება. ხუთი წლის წინ პირველი შთაბეჭდილებების მიღების შემდეგ სულ მინდა აქ დაბრუნება.

- **წარმატებები ადელინა, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის!**

- დიდი მადლობა (ქართულად)!

PS. ადელინა, მომავალ კვირაში კიდევ რამდენიმე დღეს გაატარებს ჩვენს ქალაქში, თავისი ძირითადი სამუშაოს დასრულების მიზნით. შემდეგ ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსაც ეწვევა არადეთის ორგორას არქეოლოგიური ძეგლის ორგანული მასალის ფიქსაციისა და კვლევისთვის.

თეა ახალკაცი

ცხადდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი ხატვის კონკურსი „ხაშური საქართველოს გულია"

კონკურსი განხორციელდება ხაშურქალაქობის დღესასწაულთან დაკავშირებით

კონკურსის მიზნებია: ხელოვნების სფეროში უნარ-ჩვევების გაძლიერება, შემოქმედებითი აქტივობის მხარდაჭერა; ხაშურქალაქობის დღესასწაულის გამრავალფეროვნება და ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანური რესურსის წარმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეს მე-6-მე-12 კლასის ასაკობრივი კატეგორიიდან

კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი ნახატის წარმოდგენა ხოლო ნახატი წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ A3 ფორმატით, ფანქრით, გუაშით, აკვარელით ან ბუნებრივი მასალებით შესრულებული;

კონკურსის გამოცხადების თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 8 ივლისი ხოლო ნახატების წარმოდგენის თარიღია: 2024 წლის 16 სექტემბრიდან, არაუგვიანეს 20 სექტემბრამდე.

ნამუშევრებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური; ფინალური ეტაპისთვის შეირჩევა 20 საუკეთესო ნახატი, რომელიც გამოიფინება ხაშურქალაქობის დღესასწაულზე. ხაშურქალაქობის დღესასწაულზე წარმოდგენილი 20 ნამუშევრიდან, კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოვლინდება 3 საუკეთესო ნამუშევრის ავტორი.(„საპრიზო ადგილის მფლობელი" თითოეული საპრიზო ადგილის მფლობელი დასაჩუქრდება ფასიანი საჩუქრით და დიპლომით, ასევე, ხატვის კონკურსის თითოეულ მონაწილეს, გადაეცემა დიპლომი მონაწილეობისთვის.

კონკურსის ფარგლებში ნახატები მიიღება 2024 წლის 16 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურში. მისამართი: ქ.ხაშური, ტაბიძის ქ. N2, მე-2 სართული.

დაგვიანებით მიღებული ნახატები, საკონკურსოდ არ განიხილება/

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით:

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი გაერთიანება

0368 24 03 87

ხაშურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

მინდვრები, ქართლის მინდვრები...

ნიკა კახეთელიძის ფოტო

ხაშურის თოჯინების თეატრმა პატარა მაყურებელს მორიგი პრემიერა "ნაცარქექიას ახალი თავგადასავალი" შესთავაზა

საპრემიერო ჩვენებას ესწრებოდნენ ბავშვთა დღის ცენტრ "მომავლის სახლის" ბენეფიციარები და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები პატარები.

პრემიერას, პატარა მაყურებელთან ერთად, დაესწრო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე.

სპექტაკლმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

წარმოდგენის პარალელურად, თოჯინების თეატრის ეზოში პატარა მაყურებლებს მათთვის საყვარელი სპექტაკლების გმირების გამოფენაც ელოდა. თეატრის ხელმძღვანელის, გია ბოლოკაძის განცხადებით, თოჯინები ადგილობრივად მზადდება და ამიტომ პატარების შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი და მოტივაციის მომცემია.

მურად კიკაძის ხსოვნას

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრების გზაზე ისეთ კვალს ტოვებენ, რომელიც, შემდეგ, თაობებს ახსოვთ. ზოგი ამას თავისი შემოქმედებით აღწევს, ზოგი - აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით, ზოგიც - სპორტული მიღწევებით და ა. შ. ეს ადამიანები ცნობადი სახეები ხდებიან და პატივისცემასაც დამსახურებულად იღებენ ხალხისგან. შეუძლებელია, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ოდნავ მაინც თუ შეხება ჰქონია ვინმეს ფეხბურთთან, მურად კიკაძის სახელი არ გაეგოს - სამოცდაათიანთა თაობის „ივერიელთა" ღირსეული წარმომადგენელის. ერთი სიამოვნება იყო მისი თამაშის ყურება. კლასიკური ცენტრალური ფორვარდის ამპლუაში არაერთხელ აღუფრთოვანებია გულშემატკივრები. მის გოლებსაც არაერთხელ მოუტანია „ივერიისათვის" გამარჯვება.



სახელგანთქმული 35-ე საფეხბურთო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება აქტიურ სპორტში. პერსპექტიულ ახალგაზრდას ვინ დატოვებდა ყურადღების გარეშე და იმ გუნდში მოხვდა, რომლის სახელი, საქართველოს ჩემპიონატში, პირდაპირი მნიშვნელობით ქუხდა - აწყურის „აწყურში", სადაც გულშემატკივრების უმრავლესობა, სწორედ მის სანახავად დადიოდა სტადიონზე. ნამდვილი გოლეადორი იყო და წლის ბომბარდირიც არაერთხელ გამხდარა. 1974 წლიდან იგი „ივერიას" შეუერთდა და ოთხმოციანი წლების დასაწყისამდე იცავდა ჩვენი გუნდის ღირსებას. ღირსეული პიროვნება, დიდებული სპორტსმენი, კარგი ქართველი დაკარგა ჩვენმა ქალაქმა. პიროვნება, რომელიც ჩვენი საყვარელი საფეხბურთო გუნდის დიდი ისტორიის ნაწილია.

დაგვტოვა კაცმა, რომელიც მაგალითი იყო დღევანდელი თაობის „ივერიელებისათვის", დაგვტოვა მეგობარმა, რომლის სახელი მუდამ დარჩება ხაშურის სპორტის ისტორიაში.

მშვიდობით, მეგობარო! მშვიდობით, კარგო კაცო! უფალს ვთხოვთ, სანთელ-ნათელი არ მოგაკლოს მარადიულ სასუფეველში.

საფეხბურთო კლუბი „ივერია", ვეტერანი ივერიელები, „ხაშურის მოამბის" რედაქციის თანამშრომლები, მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.